ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია

ლელა დემეტრაშვილი

ფინეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება

ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვალერიან მელიქიძე

გეოგრაფიის დოქტორი (გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი), პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მოცემული საბაკალავრო ნაშრომის მიზანია საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვება. ნაშრომში წარმოდგენილია ფინეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება, შესაბამისად, ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა, ბუნებრივი რესურსები და პირობები, მოსახლეობა, მეურნეობის როგორც ზოგადი, ისე სექტორული მიმოხილვა და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი თემების განხილვამ და ანალიზმა ცხადყო, რომ ფინეთს ერთ-ერთი წამყვანი პოზიციები უკავია როგორც რეგიონის, ისე მსოფლიოს მასშტაბით. გაჟღერებული აზრის ჭეშმარიტებაში მარტივად დავრწმუნდებით, თუკი თვალს გადავავლებთ, იმ საერთაშორისო თუ რეგიონალურ ორგანიზაციებს, რომელთა რიგებში ფინეთიცაა. ქვეყნისთვის და რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, სულ ახლახან, ნატოს რიგებში გაწევრიანება, რაც ახლებური შესაძლებლობებისა და გამოწვევების საწინდარია.

მოსახლეობის მახასიათებლების მიმოხილვამ, კიდევ ერთხელ, გვაჩვენა თუ რამდენად მნიშვნელოვანი პრობლემაა ევროპის კონტინენტისთვის „დემოგრაფიული დაბერების“ და მისი თანმხლები პროცესები, მაგრამ ფინელებისთვის, ეს სავსებით არ გამორიცხავს მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ერის სტატუსს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად.

ნაშრომის ძირითადი ინფორმაციული ბაზა ეყრდნობა მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციებს, სტატისტიკურ მონაცემებს, მეცნიერულ კვლევებსა და ნაშრომებს, აგრეთვე ელექტრონულ წყაროებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც შედარებითი ანალიზის მეთოდები, ისე სქემატური მოდელები.

სარჩევი

შესავალი.....4

თავი 1. ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა.....5

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია.....5

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაცია და სახელმწიფო მოწყობა..6

1.3 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე.....7

თავი 2. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და პირობების სამეურნეო შეფასება.....7

თავი 3. მოსახლეობა......9

3.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა.....9

3.2 მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები.....10

3.3 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მოკლე დახასიათება...11

3.4 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა. დასაქმების სტრუქტურა.....13

3.5 მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა.....14

3.6 ურბანიზაცია და დიდი ქალაქები.....16

თავი 4. მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა.....18

4.1 ეკონომიკის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....18

4.2 მშპ-ის სტრუქტურა და ფორმირება.....19

თავი 5. მეურნეობის სექტორული ანალიზი.....22

5.1 პირველადი სექტორი.....22

5.2 მეორადი სექტორი.....24

5.3 მესამეული და მეოთხეული სექტორები.....27

თავი 6. ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში.....32

6.1 ჰუმანური განვითარებისა და დემოკრატიის ინდექსი.....32

6.2 მონაწილეობა გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებში.....36

გამოყენებული ლიტერატურის სია.....38

შესავალი



ფინეთი, ოფიციალურად ფინეთის რესპუბლიკა, მდებარეობს ჩრდილოეთ ევროპის რეგიონში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. იგი სამხრეთდან შემოსაზღვრულია ბალტიის ზღვით, ბოტნიისა და ფინეთის ყურეებით და მდებარეობს შვედეთსა და რუსეთს შორის. ქვეყნის საერთო ფართობი 338,145 კმ^2-ია. ამ მაჩვენებლით, იგი მე-6 ქვეყანაა ევროპაში (CIA, 2022).

საზღვრების საერთო სიგრძეა 3813 კმ. აქედან, სახმელეთი საზღვრის სიგრძეა 2563 კმ, რომელიც მეზობელი ქვეყნების მიხედვით, ასე ნაწილდება: ნორვეგია-709 კმ., შვედეთი- 545 კმ. და რუსეთი- 1309 კმ. სანაპირო საზღვრის სიგრძე კი 1250 კმ-ია (CIA, 2022). ქვეყანას გასასვლელი აქვს ატლანტის ოკეანის წყლებზე.

ფინეთის სახელმწიფო დროშა და გერბი

წყარო:

Coat of arms - thisisFINLAND

ფინეთის რელიეფის ფორმებში ჭარბობს დაბლობები. შედარებით მთიანია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, სადაც გადაჭიმულია სკანდინავიის მთების აღმოსავლეთ განშტოება. ქვეყნის უმაღლესი წერტილია მთა ჰალტი (1328 მ.). გამოირჩევა ტბების რაოდენობით. ქვეყნის თითქმის 70% ტყით არის დაფარული. ქვეყნის სამხრეთი ნაწილის ჰავის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ბალტიის ზღვასთან სიახლოვე, ჩრდილოეთში კი არქტიკული ჰავის პირობებია გაბატონებული.

თავი 1. ქვეყნის ორგანიზაცია და მართვა

1.1 ქვეყნის ფორმირების ისტორია

ფინეთის, როგორც დამოუკიდებელი „სახელმწიფო წარმონაქმნის“, ისტორია იწყება X საუკუნეში, როცა ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში შემოვიდნენ და განსახლდნენ ფინო-უგორიული ტომები. ამ პერიოდში, უნგრელები (მადიარები) დასახლდნენ პანონიის დაბლობზე, დღევანდელი ფინეთისა და ესტონეთის ტერიტორიაზე კი - ფინური ტომები (გოგსაძე, 2019, გვ.149).

ვიკინგების ეპოქაში (VIII-XI), მრავალი ქვეყანა ცდილობდა ფინეთზე კონტროლის დამყარებას, ფინელები ვიკინგებს ბეწვეულითაც კი ამარაგებდნენ, მაგრამ მათი ეპოქის დასრულების შემდგომ, ფინეთზე პრეტენზიას, ძირითადად, აცხადებდა რუსეთი და შვედეთი. კონფლიქტი იმდენად გამწვავდა, რომ იგი რელიგიურ დაპირისპირებაშიც გადაიზარდა. საბოლოოდ, კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლმა- პაპმა- ფინეთი შვედეთს დაუქვემდებარა 1120 წელს (National Geographic).

XII საუკუნიდან XIX საუკუნემდე ფინეთი შვედეთის დაქვემდებარებაში იყო ჯერ პროვინციის, შემდეგ კი დიდი სამთავროს სტატუსით. 1809 წლიდან იგი რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ მოექცა, მაგრამ გარკვეული ავტონომიაც ჰქონდა. ფინეთის პოლიტიკურ სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1912 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ფინეთმა რუსეთისგან დამოუკიდებლად იასპარეზა და ოქროს მედლებიც მოიპოვა (გაჩეჩილაძე, 2017).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1906 წელს ფინეთი გახდა პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც ქალებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მისცა.

ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა 1917 წლის 6 დეკემბერს და იგი არ გახდა საბჭოთა რესპუბლიკა. 1918 წელს დადებული „ბრესტის ზავის“ ძალით, ფინეთმა შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო და ბოლშევიკურმა რუსეთმაც აღიარა იგი. მეორე

მსოფლიო ომის პერიოდში ფინეთი ძალიან დაზარალდა, ვინაიდან მან დაკარგა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ქვეყნის აქტიური ეკონომიკური აღმასვლა და რეფორმების გატარება დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან და დღეს, იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყნად მიიჩნევა.

1.2 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაცია და სახელმწიფო მოწყობა

ფინეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

წყარო:https://cartinadatieuropa.it/finlandia/cartina

ფინეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა. ერთპალატიანი პარლამენტი შედგება 200 წევრისაგან, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით. ბოლო არჩევნები ჩატარდა 2019 წლის 14 აპრილს, მთავრობის ამჟამინდელი მეთაური არის სანნა მარინი (CIA, 2022). ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით კი უნიტარული რესპუბლიკაა, რომელიც იყოფა 19 რეგიონად. ფინეთის დედაქალაქი არის ჰელსინკი.

1.3 სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ფინეთი სწრაფად განვითარდა და დაიკავა ღირსეული ადგილი წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს შორის. შედეგად, იგი აგრარული ქვეყნიდან (კერძოდ, ხე-ტყის გადამუშავება) ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა. ასევე, 1999 წელს ფინეთი იყო ერთადერთი სკანდინავიური ქვეყანა, რომელიც შეუერთდა ევროს ერთიან ვალუტას (CIA, 2022).

XXI საუკუნეში განვითარებული ფინეთის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს ხარისხიანი განათლება, თანასწორობის ხელშეწყობა და სოციალური კეთილდღეობის გამართული სისტემა.

თავი 2. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და პირობების სამეურნეო შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიის რეგიონი გამოირჩევა ენერგეტიკული რესურსების- ბუნებრივი აირისა და ნავთობის მარაგით, აშშ-ის ენერგეტიკის ინფორმაციის სამმართველოს (EIA) მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფინეთში ბუნებრივი რესურსების მოხმარება ჭარბობს მათ წარმოებას, შესაბამისად, პირველადი ენერგიის მოხმარების მიხედვით იგი 54-ე ადგილზეა მსოფლიოში, ნავთობის მოხმარების მხრივ კი მე-60 ადგილს იკავებს (179 ათ. ბარელი დღეში) და ჩამორჩება მეზობელ სახელმწიფოებს. შედარებისთვის, ნორვეგია- 225 ათ. ბარელი დღეში, შვედეთი- 311 ათ. ბარელი დღეში.

ბუნებრივი წიაღისეული რესურსიდან აღსაღნიშნავია: რკინის მადანი, სპილენძი, ტყვია, თუთია, ნიკელი, ოქრო, ვერცხლი, მაგრამ მათი მცირე რაოდენობის გამო, ექსპორტზე არ გადის.

ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ხე-ტყის რესურსი. ფინეთის მთელი ტერიტორიის ფართობის 73.7% ტყითაა დაფარული (World Bank, 2020), რომელთა შორის ჭარბობს წიწვოვანი ტყე, ძირითადად ფიჭვი, ნაძვი და არყი.

რაც შეეხება წყლის რესურსს, სკანდინავია წარმოადგენს მეთევზეობის ცენტრს. უშუალოდ ფინეთი გამოირჩევა ტბების რაოდენობით, რომელთა შორის აღსაღნიშნავია: საიმა, რომელიც ფინეთის უდიდესი ტბაა (1 760 კვ.კმ.), ევროპაში კი- მეოთხეა, პიაიიანე (ფინეთის უღრმესი ტბა 95 მ.), ინარის ტბა, პიელინენი და სხვ. (CIA)

ბუნებრივი პირობების შეფასებისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ ისიც, რომ ურბანულ ცენტრებთან ახლოს შეინიშნება ჰაერის მცირე დაბინძურება, სამრეწველო ნარჩენების მიერ გამოწვეული წყლის დაბინძურება, სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებით ნიადაგის დაბინძურება, მაგრამ დაბინძურების მაჩვენებელი არ არის იმდენად დიდი, რომ სერიოზული ზიანის გამოწვევა შეძლოს. უფრო მეტიც, საკმაოდ მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება ნახშირორჟანგის ემისიის შემცირების კუთხით და სახეზეა კლებადი სტატისტიკა.

ნახშირორჟანგის (CO2) ემისია ფინეთში, 1990-2019 წლებში (ტონა ერთ სულ მოსახლეზე)



წყარო: (World Bank, 2020) CO2 emissions (metric tons per capita) - Finland | Data

თავი 3. მოსახლეობა

3.1 მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა

გაეროს 2021 წლის მონაცემების მიხედვით, ფინეთის მოსახლეობა სულ შეადგენს 6 მილიონ კაცს. თუკი 1960-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობა 4.4 მლნ. კაცს შეადგენდა, 30 წელში, მოსახლეობის რაოდენობამ 5 მილიონს გადააჭარბა. ეს პროცესი განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ სწორედ ამ პერიოდში იწყებს ფინეთი ეკონომიკურ განვითარებას და 1995 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყანაც ხდება, რამაც პოზიტიურად იმოქმედა ქვეყნის დემოგრაფიაზეც.

რაც შეეხება მოსახლეობის საშუალო წლიურ მატებას, მნიშვნელოვანი ჩავარდნა აღინიშნება 1970-იან წლებში, როცა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის გავლენით, შეინიშნება უარყოფითი საშუალო წლიური მატება (World Bank, 2021).



წყარო: (World Bank, 2020) Population growth (annual %) - Finland | Data

3.2 მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლები

შობადობასა და სიკვდილიანობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ბუნებრივ მოძრაობაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ბუნებრივი პირობები, კულტურული თავისებურებები, ზოგჯერ პოლიტიკური სისტემაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

იმის გათვალისწინებით, რომ ფინეთი არის ევროპული სახელმწიფო, მისთვის დამახასიათებელია ტიპური განვითარებული ქვეყნის პარამეტრები. 2022 წლის მონაცემების მიხედვით, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები თითქმის ერთმანეთის ტოლია და შესაბამისად შეადგენს 10.4‰ და 10.35‰, ნორვეგიასა და შვედეთში შობადობის მაჩვენებელი თითქმის იგივეა, მაგრამ სიკვდილიანობის მაჩვენებელი შედარებით ნაკლებია: შვედეთში 9.46‰ და ნორვეგიაში 7.96‰ (CIA, 2022).

ბუნებრივ მოძრაობაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფინეთი დემოგრაფიული გადასვლის IV ფაზაში იმყოფება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოსახლეობის რაოდენობის კლება და შობადობის დაბალი მაჩვენებელი (გოგსაძე, 2019).

როგორც ცნობილია, საგარეო მიგრაციის მაჩვენებელი გვიჩვენებს სხვაობას იმიგრაციას და ემიგრაციას შორის. ფინეთისთვის დამახასიათებელია მიგრაციის დადებითი სალდო (3‰), რაც ნიშნავს იმას, რომ ფინეთში ყოველი 1 000 კაციდან 3 არის იმიგრანტი.

ისტორიულად, 1950-1980 წლებში ფინეთი ემიგრაციის ქვეყანა იყო და დამახასიათებელი იყო მიგრაციის უარყოფითი სალდო, 1980-იანი წლებიდან მიგრაციის სალდო დადებითია, მაგრამ 1985-88 წლებში მაჩვენებელი 0‰-ს გაუთანაბრდა. ამის შემდეგ კი, დღევანდელობამდე მიგრაციის სალდო ფინეთში დადებითია (United Nations, 2022).

3.3 მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის მოკლე დახასიათება

ფინეთის მოსახლეობის სქესობრივ თანაფარდობაში, ყოველ 100 ქალზე მამაკაცთა რაოდენობა უდრის 105-ს (United Nations, 2021). მის მოსაზღვრე შვედეთში სქესობრივი პროპორცია 106-ია. დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კი მამაკაცების რაოდენობა არ აღემატება ქალების რაოდენობას.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა არის 81,8 წელი და მსოფლიოში 34-ე ადგილს იკავებს. მამაკაცების შემთხვევაში- 78,9; ქალების- 84,8. მსოფლიოს მასშტაბით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი არის მონაკოში- 89 წელი (CIA, 2022).

ფინეთში მთელი მოსახლეობის 16,4%-ს სამუშაომდელი (ახალგაზრდა) ასაკობრივი ჯგუფი შეადგენს; 61,3%-ს- შრომის ასაკის მოსახლეობა; 22,3%-ს კი ხანდაზმული (საპენსიო) ასაკობრივი ჯგუფი (United Nations, 2020).



წყარო: (United Nations, 2021) https://population.un.org/wpp/DataQuery/

როგორც დიაგრამიდან ირკვევა, ქვეყნის ასაკობრივ სტრუქტურაში საპენსიო ასაკობრივი ჯგუფი ჭარბობს ახალგაზრდების ხვედრით წილს. ეს ფაქტი აიხსნება იმით,

რომ ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი, მაგრამ თუკი შევხედავთ, იგივე ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებს ვნახავთ, რომ საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი ბევრად ნაკლებია, შრომითი მიგრანტების აქტიური შემოდინების ხარჯზე. რაც შეეხება შრომის ასაკის მოსახლეობას, თუ არ ჩავთვლით აფრიკის ქვეყნებს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც თითქმის ანალოგიური მაჩვენებელი შეინიშნება.

ფინეთის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა მიეკუთვნება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოდელს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნულოვანი ან უარყოფითი ბუნებრივი მატების მაჩვენებლები, საგარეო მიგრაციების დადებითი სალდო და საპენსიო ასაკის ადამიანების მაღალი ხვედრითი წილი (გოგსაძე, 2019, გვ. 75).

ფინეთის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდის ფუძე შედარებით ვიწროა და შემდგომში ფართოვდება. განსაკუთრებით, სამუშაო ასაკის ჯგუფში, რაც მიგრაციის გავლენაზე მიუთითებს. პირამიდის წვეროც საკმაოდ განიერია, რაც სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს და ასევე, ამ ასაკობრივ ჯგუფში ქალების რაოდენობა აჭარბებს მამაკაცების რაოდენობას. სხვა ასაკობრივ ჯგუფებში მათი რაოდენობა მეტ-ნაკლებად თანაბარია.



ფინეთის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა

(2022წ.)

წყარო: (CIA, 2022) Finland - 2022 World Factbook Archive (cia.gov)

3.4 ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა. დასაქმების სტრუქტურა

მსოფლიო ბანკის 2021 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (ეამ) რაოდენობა, ანუ სამუშაო ძალა, 2 774 226 ადამიანს შეადგენს, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 50%-ია. აქედან, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 4%, მრეწველობაში- 20,7%, ხოლო მომსახურების სფეროში- 75,3% (CIA, 2017), შესაბამისად, ფინეთი პოსტინდუსტრიული ქვეყანაა, ვინაიდან მომსახურების სფეროში ჩართული ადამიანების ხვედრითი წილი ძალიან მაღალია და აღემატება სხვა დანარჩენს. შედარებისთვის, ამ სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია ლუქსემბურგში და არის 87,1%-ის ტოლი.

რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, გასული წლის მონაცემებით, იგი 6,8%-ია (World Bank). უმუშევრობის დონემ მაქსიმუმს მიაღწია 1991-95 წლების პერიოდში (17%). ფინეთის ეკონომიკისთვის დარტყმა აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლა, ვინაიდან ფინეთში წარმოებული პროდუქცია საექსპორტოდ გადიოდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, თუმცა შემდგომი პერიოდიდან იწყება უმუშევრობის შემცირება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პანდემიის პერიოდში ქვეყანამ მოახერხა სტაბილურობის შენარჩუნება და უმუშევრობის დონე მკვეთრად არ გაზრდილა.



წყარო: (World Bank, 2020) Unemployment, total (% of total labor force) (modeled ILO estimate) - Finland | Data (worldbank.org)

3.5 მოსახლეობის ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური შემადგენლობა

ფინეთის მოსახლეობა, ძირითადად, მიეკუთვნება ორ ენობრივ ოჯახს: ინდოევროპულსა და ურალის ენათა ოჯახებს, რომლებზეც საუბრობს, შასაბამისად, მთელი მოსახლეობის 6,8% და 86,5%. სხვა ენებზე საუბრობს მოსახლეობის 6,7% (CIA, 2022).

ფინეთში ოფიციალური ენებია ფინური და შვედური. გარდა ამისა, მოსახლეობის 1,6% საუბრობს რუსულადაც.

ცხრილი 1. ფინეთის მოსახლეობის ლინგვისტური სტრუქტურა

ენათა ოჯახი	ენის ჯგუფი	ეთნოსი, ხალხი	%
ინდოევროპული	გერმანული	შვედები	5.2
	სლავური	რუსები	1.6
ურალის	ფინო-უგორიული	ფინელები	86.5
სხვა	ფინო-უგორიული	ესტონელები	6.7
	რომანული	რუმინელები	
		სამი	

წყარო: (CIA, 2022) https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/india/#geography

მოსახლეობის 91,5%-ს აქვს ფინური წარმოშობა. ქვეყნის ავტოქტონური მოსახლეობა სამის ხალხია. ამ ხალხის ისტორია, ჯერ კიდევ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება, როცა ისინი დასახლდნენ ფინეთის ჩრდილოეთში, კერძოდ ლაპლანდიაში. გარდა ფინეთისა, მათ

სამის ხალხი ტრადიციულ სამოსში, XXს.

წყარო: The Sami people. The Sami community are indigenous… | by FFF Digital Team | Fridays for Future Digital | Medium

ვხვდებით ჩრდილოეთ ნორვეგიასა და შვედეთშიც. მათი ზუსტი წარმოშობის დადგენა რთულია, ვინაიდან არ მოიპოვება დოკუმენტური წყაროები და ჩანაწერები, თუმცა ცნობილია, რომ მე-20 საუკუნისთვის, ფინეთში 6 000 სამი ცხოვრობდა, დღეს ეს რიცხვი ბევრად ნაკლები იქნება. მათი ძირითადი საქმიანობა იყო ირმის ფერმერობა (Britannica).



წყარო: (CIA, 2022) https://www.cia.gov/the-world

ფინეთის მოსახლეობის უმეტესობა არის პროტესტანტი, კერძოდ ლუთერანი. მთელი მოსახლეობის დაახლოებით 30% არცერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ აღიარებს. მართლმადიდებელი მოსახლეობის წილი კი 1%-ია (CIA, 2022).

3.6 ურბანიზაცია და დიდი ქალაქები

ფინეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქვეყნის სამხრეთით ცხოვრობს, ჩრდილოეთი ნაწილი კი თითქმის დაუსახლებელია კლიმატური პირობების გამო. სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 18 ადამიანს შეადგენს. მეზობელ შვედეთში ანალოგიური მაჩვენებელი 26-ის ტოლია (United Nations, 2022).

ფინეთის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 86% ქალაქში ცხოვრობს, რაც მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (56%), საკმაოდ მაღალია (World Bank,



წყარო: (CIA, 2022) urban_FI.pdf (cia.gov)

2021). დიაგრამის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2000 წლიდან 2015 წლამდე სულ უფრო მეტი ადამიანი არჩევდა საცხოვრებლად ქალაქს, 2015 წლის შემდეგ კი შეინიშნება

საქალაქო მოსახლეობის ტემპის კლება, რაც დამახასიათებელია ევროპის სხვა განვითარებული ქვეყნების შემთხვევაშიც.

მოსახლეობის რაოდენობის მხრივ უდიდესი ქალაქია ჰელსინკი. ჰელსინკის რეგიონში დაახლოებით 1,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. დედაქალაქი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ფინეთის ყურესთან. ზღვასთან სიახლოვის გამო, მას საკმაოდ ხელსაყრელი მდებარეობა გააჩნია.

ქალაქების უმეტესობა სანაპირო ზოლთან ახლოს მდებარეობს და ერთგვარ უწყვეტ ჯაჭვს ქმნის. მნიშვნელოვანი ქალაქებია: ოულუ, ტურკუ, ვაასა, კუოპიო და სხვ. თითოეულის მოსახლეობა 500 ათასს არ აღემატება.



რუკა შედგენილია საბაკალავრო ნაშრომის ავტორის მიერ, QGIS-ის გამოყენებით

თავი 4. მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა

4.1 ეკონომიკის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციის მიხედვით, ფინეთი მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების რიგშია, რომლის წლიურმა შემოსავალმა 2021 წელს 297 მილიარდი შეადგინა. ფინეთის ეკონომიკა არის მაღალ ინდუსტრირებული და ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. ვაჭრობა ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, ვინაიდან ბოლო წლების მონაცემებით, ექსპორტზე მშპ-ს მესამედზე მეტი მოდის. მთავრობა ღიაა და აქტიურ ნაბიჯებს დგამს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

ისტორიულად, ფინეთი კონკურენტუნარიანი ქვეყანაა წარმოებაში, განსაკუთრებით კი ხის, ლითონის, ინჟინერიის, ტელეკომუნიკაციისა და ელექტრონიკის მრეწველობაში. ასევე, იგი ერთ-ერთი ლიდერია ბიოტექნოლოგიების სექტორში.

ქვეყნის ეკონომიკისთვის, უახლოეს ისტორიაში, გარდამტეხი აღმოჩნდა 2009 წელი. ამ წლამდე, ფინეთი, ევროკავშირის მასშტაბით, ერთ-ერთი საუკეთესო ეკონომიკის მქონე ქვეყნად ითვლებოდა, თუმცა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და მსოფლიოს ეკონომიკურმა შენელებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის ექსპორტს და შიდა მოთხოვნას, შედეგად, მთავრობას მოუწია საგარეო ვალის გაზრდა (CIA, 2022). ეკონომიკამ კვლავ ზრდა დაიწყო 2016 წლიდან და 2017 წლისთვის, მშპ-ის წლიურმა ზრდამ 3.2% შეადგინა (World Bank).

ექსპერტების აზრით, მომავალში, ფინეთის ეკონომიკისთვის მთავარი გამოწვევა იქნება შრომის ხარჯების შემცირება და ექსპორტზე მოთხოვნის გაზრდა. 2016 წელს, მთავრობამ მიიღო კონკურენტუნარიანობის პაქტი, რომელიც მიზნად ისახავდა შრომის ხარჯების შემცირებას, სამუშაო საათების გაზრდას და ხელფასების გაცემის სისტემაში მეტი მოქნილობის შემოტანას.

გრძელვადიან პერსპექტივაში, ფინეთმა უნდა იზრუნოს ტრადიციული ინდუსტრიების პროდუქტიულობის გაზრდაზე და იმ ფაქტორებზე, რაც საფრთხეს უქმნის კონკურენტუნარიანობას, მდგრადობასა და ეკონომიკურ ზრდას.

4.2 მშპ-ის სტრუქტურა და ფორმირება

ცხრილი 2. ფინეთის მშპ-ის სტრუქტურა და ფორმირება 2000-2020 წწ.						
წლები	მშპ მიმდინარე აშშ $ მლრდ.	მშპ 2015 წლის მუდმივ ფასებში აშშ $ მლრდ.	მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტი მიმდინარე მლრდ.	მშპ ერთ მოსახლეზე 2015 წლის მუდმივი აშშ $	ინფლაციის დონე %	მშპ-ს ყოველწლიური ზრდა %
2000	126	196	139	37 884	1.6	5.8
2005	205	223	168	42 531	0.9	2.8
2010	249	234	209	43 564	0.3	3.2
2015	235	235	233	42 802	1.6	0.5
2020	272	250	289	45 054	1.5	-2.2

წყარო: (World Bank) Indicators | Data (worldbank.org)

2009 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა კარგად შეგვიძლია დავინახოთ ცხრილის მონაცემების ანალიზის საშუალებით, მაგრამ ყველაზე უკეთ ეს გამოიხატება მშპ-ის ყოველწლიური ზრდის ტემპის შემცირებაში 2010 წლის შემდგომ პერიოდში.

სიტუაცია მეტ-ნაკლებად დასტაბილურდა 2016 წლიდან, მაგრამ შემდგომ წლებში კვლავ კლების ტენდენცია შეინიშნებოდა და 2020 წელს დაფიქსირდა -2.2%. ეს მაჩვენებელი რომ შევადაროთ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების ქვეჯგუფს, რომელშიც თავად ფინეთიც შედის, იმავე წელს დაფიქსირდა მშპ-ის 4%-იანი კლება. ცხადია, ამის მიზეზი იყო კოვიდ-პანდემია, ვინაიდან მსოფლიო სრულიად ახალი დღის წესრიგის წინაშე დადგა. პროგნოზი პოზიტიურია, ვინაიდან 2021 წელს კვლავ მზარდი ტენდენცია შეინიშნება (3%), თუმც ყველაზე დიდი მშპ-ის წლიური ზრდა, 1960 წლიდან მოყოლებული დღემდე, დაფიქსირდა 1969 წელს და შეადგინა 9.6% (იხ. დიაგრამა).

ფინეთის მშპ-ის ყოველწლიური ზრდა 1960-2020 წწ. %



წყარო: GDP growth (annual %) - Finland | Data (worldbank.org)

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მშპ-ის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ფინეთი უსწრებს მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების საერთო საშუალო მაჩვენებელს. შედარებისთვის, თუკი 2021 წელს, ფინეთში აღნიშნული მაჩვენებელი იყო 53 654, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის იყო- 48 255. სკანდინავიის ქვეყნებს შორის კი, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ფინეთი ჩამორჩება შვედეთსაც (61 029) და ნორვეგიასაც (89 154).

თუკი განვიხილავთ მშპ-ს მთლიან მაჩვენებელს (2015 წლის მუდმივი აშშ$), მაშინ 2021 წლისთვის, ფინეთში მისი მაჩვენებელი იყო 297 მილიარდი, მაღალი შემოსავლის ქვეყნებისთვის, 53 ტრილიონი. რეგიონის მასშტაბით კი ლიდერობს შვედეთი 565 მილიარდით (World Bank, 2021).

რაც შეეხება, მშპ-ს სტრუქტურაში ეკონომიკის სექტორების წილს, 2021 წლის მონაცემების მიხედვით, მრეწველობის წილი მშპ-ში არის 25%, სოფლის მეურნეობაზე მოდის 2%, ხოლო მომსახურების სფერო არის ლიდერი 73%-ით.



წყარო: (World Bank, 2022) Indicators | Data (worldbank.org

ფინეთი რომ შევადაროთ მის უშუალო სახმელეთო მეზობლებს- რუსეთის ფედერაციასა და შვედეთს, მაშინ ვნახავთ, რომ მომსახურების სფეროს წილით იგი უსწრებს რუსეთს (63%), მაგრამ მცირედ ჩამორჩება შვედეთს (76%); სოფლის მეურნეობის წილით ამ სამ ქვეყანას შორის ლიდერობს რუსეთი 4%-ით, შვედეთში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მხოლოდ 1%-ია; რაც შეეხება მრეწველობას, რუსეთი აქაც ლიდერობს 33%-ით, მეორე ადგილზეა ფინეთი- 25%-ით და შვედეთში მისი წილი 23%-ია (World Bank, 2021).

თავი 5. მეურნეობის სექტორული ანალიზი

5.1 პირველადი სექტორი

სოფლის და სატყეო მეურნეობა

ფინეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, მეურნეობის აღნიშნულ დარგებში დასაქმებულია მთელი სამუშაო ძალის 4% (2020 წ.). აღნიშნული სამინისტრო აქტიურად კურირებს ქვეყნის შიდა საკვების წარმოებას და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეზე, როგორებიცაა: სოფლის მეურნეობა და მებოსტნეობა, სოფლის განვითარება, სატყეო საქმიანობა, ვეტერინარული სამსახური, ცხოველური წარმოშობის სურსათის კონტროლი, მეთევზეობა, ნადირობა და ირმის მოშენება, წყლის რესურსების გამოყენება, მიწის დათვალიერება და სივრცითი ინფორმაცია.

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საერთო ფართია 2 274 ჰექტარი, ხოლო ტყით (უმეტესად, ფიჭვი, ნაძვი და არყი) დაფარულია 22 409 ჰექტარი (2019).

ფინეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მარცვლოვანი კულტურების მოყვანა (ქერი, შვრია, ხორბალი), მეხორცული და მერძეული მესაქონლეობა, კარტოფილისა და შაქრის ჭარხლის მოყვანა (CIA, 2022).

ტყე ფინეთის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მთავარი წყაროა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ტყის ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავალი მეორე ადგილზე დგას ექსპორტის საერთო წილში და შეადგენს 18%-ს. სტატისტიკის თანახმად, ყოველი მეშვიდე ფინელის ოჯახი ფლობს ტყეს და სახელმწიფო საკუთრებაში მთლიანი ტყის ფართობის მხოლოდ 26%-ია (Ministry of Agriculture and Forestry of Finland). იმის

გათვალისწინებით, რომ ფინეთის მთელი ტერიტორიის დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული (Finland Toolbox) და მსოფლიოში იზრდება ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნა და ქვეყნები ბევრს მუშაობენ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მომავალში, ფინეთის ხე-ტყის მარაგი უმნიშვნელოვანეს დატვირთვას შეიძენს.

ამჟამად, ფინეთის სატყეო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეკონომიკური სარგებლის მიღება ისე, რომ არ დაზიანდეს ტყის ბიომრავალფეროვნება. ამ მიზნის მისაღწევად, ფინეთის მთავრობა ემყარება ტყის ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებულ პირობებს.

2021 წელს, ფინეთში აწარმოეს 4.5 მილიონი ტონა ქაღალდი, 4.2 მილიონი ტონა მუყაო და 8.3 მილიონი ტონა ქიმიური ნაწარმი (იხ. დიაგრამა).



წყარო: Use of wood in Finland (mmm.fi)

მეთევზეობა

ფინეთს აქვს საკმაოდ გრძელი სანაპირო ხაზი- 1 250 კილომეტრი და გამოირჩევა ტბების რაოდენობითაც. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკისთვის საზღვაო სექტორს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი, მშპ-ში მეთევზეობის წილი სულ რაღაც 0.1%-ია (OECD).

2015 წელს, ბალტიის ზღვაში, მთლიანი კომერციული დაჭერა იყო დაახლოებით 153 ათასი ტონა და შეადგენდა 47 მლნ. ევროს ღირებულებას. თევზის სახეობიდან ყველაზე გავრცელებულია ატლანტიკური ქაშაყი, რომელიც შეადგენს საზღვაო დაჭერების 86%-ს.

იმავე წლის მონაცემებით, შიდა წყლების თევზჭერამ შეადგინა 6 000 ტონაზე მეტი დაახლოებით 10 მილიონის ღირებულებით.

ფინეთის თევზჭერის მთავარი ადმინისტრატორი არის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მურნეობის სამინისტრო. გარდა ამისა, ფინეთისთვის, როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსთვის, ევროკომისიამ მიიღო საინვესტიციო პაკეტი, რომლის ფარგლებშიც გაიცა 141 მილიონიანი გრანტი ფინეთის აკვაკულტურის ინდუსტრიის განვითარებისთვის (EMFF).

5.2 მეორადი სექტორი

მრეწველობა

მრეწველობის წილი ეკონომიკის დარგებში არის 22% (Statistics Finland, 2021). მრეწველობის დარგებიდან განვითარებულია: სამთო-მომპოვებითი მრეწველობა, მეტალურგია, ქაღალდის წარმოება, მანქანებისა და აღჭურვილობის წარმოება, ქიმიკანტების წარმოება, საკვების მრეწველობა, კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება.

კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მწარმოებელი უმსხვილესი ფინური კომპანიებია: Nokia, SUUNTO, POLAR, F-Secure, VAISALA, Linux.



წყარო: Statistics Finland: Regional statistics on entrepreneurial activity, Volume index of industrial output

დიაგრამაზე ნათლად ჩანს მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ყველაზე უკეთაა განვითარებული. მზარდი ტენდენცია შეინიშნება ელექტრონულ ინდუსტრიაში და ლითონის წარმოებაში.

მშენებლობა

2020 წლის მონაცემებით, მშენებლობის საერთო მოცულობამ 2 მილიარდი ევროს ღირებულება შეადგინა. 2000 წლის შემდგომ, ეს მაჩვენებელი გაორმაგებულია.

ცხრილი 3. ფინეთის საცხოვრებელი შენობის ძირითადი ტიპები (ათასი)

წლები	1980	1990	2000	2010	2020
საცხოვრებელი კორპუსები	840	1 005	1 111	1 235	1 319
ინდივიდუალური სახლები	773	908	993	1 102	1 170
მიმაგრებული სახლები	23	53	66	76	84
ბინები	44	45	52	57	65
სხვა შენობები	92	158	189	211	217
აგარაკები	252	368	451	489	508
საუნები	548	932	1 212	1502	1 720

წყარო: Statistics Finland: Dwellings and housing conditions, Buildings and free-time residences

ტრანსპორტი

ფინეთის სატრანსპორტო ქსელს აკონტროლებს ფინეთის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სააგენტო (Traficom). ტრანსპორტის სახეობებიდან ფინეთში განვითარებულია როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი.

ფინეთში რეგისტრირებულია 3 ავიაკომპანია. მათ შორის ყველაზე ცნობილია Finnair. 2018 წლის მონაცემებით, საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლა 13 მლნ.ზე მეტმა მგზავრმა, ტვირთბრუნვის მაჩვენებელმა კი- 957 მლნ. ტონა (CIA).

გაზსადენის საერთო სიგრძეა- 1 288 კილომეტრი, რკინიგზის საერთო სიგრძე კი- 5 926 კმ-ია (CIA, 2016). ავტომანქანების საერთო რაოდენობა აჭარბებს 2 მილიონს და მათი დაახლოებით 22% არის ნაცრისფერი. მოახლეობა საკმაოდ აქტიურად იყენებს ე.წ. ჰიბრიდულ და ელექტრონულ მანქანებს (Finnish Transport and Communications Agency Traficom).

ფინეთისთვის ტრანსპორტის სახეობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია წყლის ტრანსპორტი, იმის გათვალისწინებით, რომ ფინეთი ითარგმნება, როგორც „ათასი ტბის ქვეყანა“ და მათი საერთო რაოდენობა აღემატება 187 ათასს (National Geographic). ასევე, კარგადაა განვითარებული ნავების მშენებლობაც. ქვეყნის მთავარი პორტებია: ჰელსინკი, კოტკა, ნაანტალი, პორვოო, რააჰე და რაუმა.

5.3 მესამეული და მეოთხეული სექტორები

ვაჭრობა

ცხრილი 4. ფინეთის ექსპორტისა და იმპორტის ზოგადი სტრუქტურა.

საექსპორტო პროდუქცია	იმპორტირებული პროდუქცია
• რაფინირებული ნაბთობი • ქაღალდი და ხის მერქანი • ავტომანქანები • უჟანგავი ფოლადი • ხე-ტყე	○ ნედლი ნავთობი ○ მანქანა-დანადგარები ○ სამაუწყებლო აღჭურვილობა ○ მედიკამენტები

წყარო: (CIA, 2019) Finland - 2022 World Factbook Archive (cia.gov)

როგორც დიაგრამებიდან ირკვევა, ფინეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია: გერმანია, შვედეთი, ჩინეთი, რუსეთი, ნიდერლანდები, მაგრამ უპირობო ლიდერი მაინც გერმანიაა.





წყარო: (CIA, 2019) Finland - 2022 World Factbook Archive (cia.gov)

მასმედია

მედია საშუალებები მოიცავს 3 საჯარო და მრავალ კერძო საკუთრებაში არსებულ ტელევიზიას. ასევე, რამდენიმე დამოუკიდებელ მედია მაუწყებელს. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია საკაბელო და სატელიტური სააბონენტო სერვისები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც მოიცავს 13 ეროვნულ და 25 რეგიონულ რადიოსადგურის ქსელს, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, ადგილობრივებს აქვთ წვდომა კერძო რადიომაუწყებლობაზე და ინტერნეტ რადიოზეც (CIA, 2021).

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება

2020 წლის მონაცემებით, სამუშაო ასაკის მოსახლეობის თითქმის 16% დასაქმებულია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში, თანაც ყველაზე დიდი წილი მასზე მოდის.

იმის გათვალისწინებით, რომ ფინეთის მოსახლეობის სტრუქტურაში საპენსიო ასაკის მოსახლეობის საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილია, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ 2019 წლის მონაცემებით, ჯანდაცვის დანახარჯებმა შეადგინა 16 მლრდ. ევრო, რაც სოციალური დაცვის საერთო დანახარჯების 23%-ია.



წყარო: fDi Benchmark from Financial Times Ltd 2017

ჯანმრთელობის კვლევისა და განვითარების საკითხებში ფინეთი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და ფინური ჯანდაცვის ტექნოლოგია გლობალური მასშტაბითაა ცნობილი. ამას ხელი შეუწყო ეფექტური ჯანდაცვის სისტემისა და ტექნოლოგიების განვითარებამ, რაზე ზრუნვაც ფინეთის მთავრობამ დაიწყო 1960-იანი წლებიდან და დღეს მიაღწიეს იმას, რომ კლინიკური კვლევებზე დანახარჯით, ფინეთი მსოფლიოს ათეულში შედის.

ფაქტია ისიც, რომ ფინური ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სექტორი მუდმივად ვითარდება და ნერგავს ინოვაციებს. ამის მაგალითია, ე.წ. ვირტუალური კლინიკის მოდელი, რომლის ფარგლებშიც, ტვინის დარღვევების, იშვიათი დაავადებების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და წონის პრობლემის მქონე პაციენტებს შეუძლიათ კონსულტაციებისა და თერაპიის მიღება სახლიდან გაუსვლელად.

ტურიზმი

ფინეთის ტურისტულ ინდუსტრიას საკმაოდ პოზიტიური პერსპექტივები გააჩნია. ამის მიზეზი არის მისი გეოგრაფიული მდებარეობა, უნიკალური ბუნება, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხო ბიზნეს გარემო, სიმშვიდე, ღია სივრცეები და მრავალი სხვ. ფინეთის ტურისტულ მნიშნელობაზე პოზიტიურად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იგი მიეკუთვნება მსოფლიოს უსაფრთხო სამოგზაურო ადგილების რიცხვს (WEF Report, 2017) და ასევე, წლების განმავლობაში ზედიზედ სახელდება მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ქვეყნად.

ფინეთში ვიზიტი მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი. გაზაფხული და შემოდგომა კარგი დროა ჩრდილოეთის პოლარული ნათების- „ავრორას“ სანახავად, ზამთარში აქტუალურია შესაბამისი სპორტის სახეობები, ზაფხულის პერიოდი კი ცნობილია თავისი თეთრი ღამეებით.

სურ.1 ჰელსინკის საკათედრო ტაძარი (XIX ს.)

წყარო: Finnish architecture icons of Helsinki | Visit Finland

ფინეთის ტურისტული ღირსშესანიშნაობები თავმოყრილია ოთხ ძირითად რეგიონში, ესენია: ლაპლანდია (სამის ხალხის და ირმის პოპულაციის „სამშობლო“), ლეიკლენდი (ტბებით და ტყით მდიდარი რეგიონი), სანაპირო და არქიპელაგი (50 000-ზე მეტი კუნძულით) და ჰელსინკის რეგიონი.

ტურისტებს შორის ყველაზე გამორჩეულ ტურისტულ ჯგუფს ქმნიან რუსი ვიზიტორები, თუმცა ბოლო წლებში ფინეთი მიმზიდველი ქვეყანაა აზიელი მოგზაურებისთვის, განსაკუთრებით ჩინელებისთვის.

სურ.2 ჩრდილოეთის პოლარული ნათება

წყარო: 10 best things to do in Finland | Visit Finland

სურ.3 რეპოვესის ეროვნული პარკი, ლეიკლენდი

წყარო: National Parks in Lakeland Region | Visit Finland

განათლება

ფინეთის განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშოა მსოფლიოში. ბევრი ექსპერტის აზრით, ფინეთის წარმატების უმნიშვნელოვანესი გასაღები სწორედაც რომ ხარისხიანი განათლებაა, რომელიც თავის მხრივ, წარმოშობს ძალიან გამოცდილ და მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სამუშაო ძალას საერთაშორისო დონეზეც კი.

ჩემი აზრით, ამგვარ ტენდენციას ისიც უწყობს ხელს, რომ განათლება სტუდენტებისთვის არის 100%-ით უფასო დოქტურანტურის ხარისხამდე.

2019 წლის მონაცემებით, ფინეთის მოსახლეობის 74%-ს აქვს ესა თუ ის საგანმანათლებლო ხარისხი და მოსახლეობის 26% მხოლოდ საბაზისო განათლებით შემოიფარგლება. სასწავლო ინსტიტუტების საერთო რაოდენობა კი, 3 ათასს აღემატება (Statistics Finland, 2020).

თავი 6. ქვეყნის ადგილი გლობალურ სისტემებში და სტრუქტურებში

6.1 ჰუმანური განვითარებისა და დემოკრატიის ინდექსი

ჰუმანური განვითარების პირველმა მოხსენებამ 1990 წელს, შემოიღო სრულიად ახლებური მიდგომები კაცობრიობის კეთილდღეობის მიღწევისთვის, შესაბამისად, იგი ფოკუსირებულია ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ჰუმანური განვითარება უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, რომელიც აერთიანებს ისეთ ინდიკატორებს, როგორებიცაა: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე, მშპ-ს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (United Nations Development Programme, 2023).

ცხრილი 5. უმაღლესი ჰუმანური განვითარების ინდექსის მქონე ქვეყნები, 2021 წ.			
N	ქვეყანა	საერთო მაჩვენებელი	ცვლილება 2020 წლიდან
1	შვეიცარია	0.962	0.006
2	ნორვეგია	0.961	0.002
3	ისლანდია	0.959	0.002
4	ჰონგ-კონგი (ჩინეთი)	0.952	0.003
5	ავსტრალია	0.951	0.004
6	დანია	0.948	0.001
7	შვედეთი	0.947	0.005
8	ირლანდია	0.945	0.002
9	გერმანია	0.942	-0.002
10	ნიდერლანდები	0.941	0.002
11	ფინეთი	0.940	0.002

წყარო: Country Insights | Human Development Reports (undp.org)

ცხრილის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2021 წლის მონაცემებით, ფინეთი მსოფლიოს პირველ ათეულში ვერ ხვდება, მაგრამ იგი შედის ძალიან მაღალი ჰუმანური განვითარების კატეგორიაში და მსოფლიოს 191 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან მე-11 პოზიციას იკავებს.

1990 წლიდან 2021 წლამდე ფინეთის ჰუმანური განვითარების ინდექსი 0.814-დან 0.940-მდე შეიცვალა და გაიზარდა 16%-ით. ასევე, ფინეთის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა 7 წლით, რაც მიანიშნებს ადამიანთა ცხოვრების დონისა თუ ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ფაქტია ისიც, რომ სკანდინავიის ქვეყნებს შორის ფინეთს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს. რეგიონის უპირობო ლიდერი აქაც ნორვეგიაა 0.961-იანი მაჩვენებლით, მეორე ადგილს იკავებს შვედეთი 0.947.

გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია. ყველაზე მაღალი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნებში გერმანია აღმოჩნდა ერთადერთი, რომელსაც 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, ჰქონდა ჩავარდნა და მაჩვენებელი დიდად არ შეცვლილა უკეთესობისკენ.

ფინეთის ჰუმანური განვითარების ინდექსის ტენდენციები, 1990-2021



წყარო: Specific country data | Human Development Reports (undp.org)

მოცემული დიაგრამა კარგად აღწერს ფინეთის მიერ გავლილ გზას ჰუმანური განვითარების კუთხით. ძირითადად, შეინიშნება აღმავალი სტატისტიკა, მაგრამ არის შემთხვევები 2004, 2009 და 2020 წლებში, როცა ადგილი აქვს ჩავარდნებს, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პანდემიის მიუხედავად, ქვეყანას არ ჰქონია მნიშვნელოვანი კლება.

დემოკრატიის ინდექსი აღწერს დემოკრატიის მდგომარეობას მსოფლიოს 165 დამოუკიდებელ სახელმწიფოში. იგი ეფუძნება 5 ძირითად კატეგორიას, როგორიცაა:

საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, ხელისუფლების ფუნქციონირება, პოლიტიკაში მონაწილეობა, პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო თავისუფლებები (The Economist Intelligence Unit, 2021). მიღებული ქულებისა და ინდიკატორების საფუძველზე, მსოფლიოს ქვეყნები კლასიფიცირდება ოთხი ტიპის რეჟიმიდან ერთ-ერთში: „სრული დემოკრატია"; „ნაკლოვანი დემოკრატია"; „ჰიბრიდული რეჟიმი" ან „ავტორიტარული რეჟიმი".

რაც შეეხება, სკანდინავიის ქვეყნებს, მათ წამყვანი ადგილი უჭირავთ მსოფლიო რეიტინგში. მართალია, Covid-19_ის პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა გამოიწვია მცირედი ვარდნა და ქულების კლება, რაც უმეტესად, სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვით იყო გამოწვეული, მაგრამ ამ ქვეყნებს მაინც უმაღლესი ქულები აქვთ.

2020 წლის მონაცემებით, დემოკრატიის ინდექსის პირველი ათეული, დასავლეთ ევროპის რეგიონში, გამოიყურება ასე:

ცხრილი 6. ჰუმანური განვითარების ინდექსი დასავლეთ ევროპის რეგიონში, 2020

ქვეყანა	საერთო მაჩვენებელი	გლობალური რანგი	რეგიონალური რანგი
ნორვეგია	9.81	1	1
ისლანდია	9.37	2	2
შვედეთი	9.26	3	3
ფინეთი	9.20	6	4
დანია	9.15	7	5
ირლანდია	9.05	8	6
ნიდერლანდები	8.96	9	7
შვეიცარია	8.83	12	8
ლუქსემბურგი	8.68	13	9
გერმანია	8.67	14	10

წყარო: (The Economist Intelligence Unit, 2021) democracy-index-2020.pdf (eiu.com)

მსოფლიოს მასშტაბით, პირველი სამი ქვეყანა ემთხვევა ცხრილში ჩამოთვლილ ქვეყნებს, მეოთხე და მეხუთე ადგილებს იყოფენ ახალი ზელანდია (9.25) და კანადა (9.24), ფინეთის დგას მე-6 ადგილზე, ხოლო დანია მე-7 ადგილს იკავებს.

ფინეთი მიეკუთვნება „სრული დემოკრატიის“ მქონე ქვეყნების რიცხვს და ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებიდან, ყველაზე მაღალი შეფასება 10/10 აქვს საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმში, შემდგომ სამოქალაქო თავისუფლებებში, ყველაზე დაბალი შეფასება (8.75) აქვს პოლიტიკურ კულტურაში.

6.2 მონაწილეობა გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებში

იმის გათვალისწინებით, რომ ფინეთი არის განვითარებული ქვეყანა და ერთ-ერთი მოწინავე პოზიციებიც უკავია სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით, როგორც მაკრო, ისე მეზო დონეებზე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იგი მრავალი საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციის წევრი ქვეყანა და აქტიური მონაწილეა.

შორს წაგვიყვანს ყველა იმ ორგანიზაციის დასახელება, რომელთა რიგებშიც ფინეთი შედის, მაგრამ შევეცადოთ, დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი მაინც. თვალსაჩინოების მიზნით, გამოვიყენოთ ცხრილი.

ცხრილი 7. ფინეთი გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებში

გლობალური ორგანიზაციები	რეგიონალური ორგანიზაციები
გაერო	ევროკავშირი
წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა	ნატო
მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია	სკანდინავიური საბჭოა
მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია	არქტიკული საბჭო

საერთაშორისო სავალუტო ფონდი	ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია
მსოფლიო ბანკი	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია	ევროპის სავალუტო კავშირი
კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი)	სკანდინავიური საინვესტიციო ბანკი
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია	წყნარი ოკეანის ალიანსი
ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო	აზიის განვითარების ბანკი

წყარო: Finland | IMUNA | NHSMUN | Model UN

სკანდინავიის ქვეყნებიდან, ფინეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუერთდა ყველაზე გვიან 1955 წელს, მაშინ როცა მისი უშუალო სახმელეთო მეზობელი შვედეთი, გაეროს წევრი გახდა ორგანიზაციის დაარსებიდან ერთი წლის თავზე- 1946 წელს (UN and the Nordic countris).

რაც შეეხება ევროკავშირს, ფინეთი მისი წევრი გახდა 1995 წლის 1 იანვარს, შენგენის ზონას კი შეუერთდა 2001 წლის 25 მარტს.

სულ ცოტა ხნის წინ, 2023 წლის 4 აპრილს, ფინეთი შეუერთდა ნატოს რიგებს 31-ე წევრის სახით. ნატოს მოკავშირეებმა ერთხმად მოაწერეს ხელი ფინეთის გაწევრიანებას 2022 წლის 5 ივნისს. იმის გათვალისწინებით, რომ ფინეთი და რუსეთის ფედერაცია სახმელეთო მეზობლები არიან და ცნობილია, რუსეთის დამოკიდებულება ნატოს მიმართ, ცოტა რთულია, გადაჭრით იმის თქმა, თუ რა შედეგების მომტანი იქნება ეს როგორც ალიანსისთვის, ისე ფინეთისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ ფინეთის წევრობით ნატომ საკმაოდ მნიშვნელოვანი და მკაფიო „პოლიტიკური მანევრი“ შეასრულა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1) გაჩეჩილაძე, რ. (2017). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში: ისტორიულ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მიდგომა.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

2) გოგსაძე, გ. (2019). *მოსახლეობის გეოგრაფია.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა

3) Britannica. (2023). *Sami people*. მოპოვებულია 2023 წლის 15 მაისს,

https://www.britannica.com/topic/Sami

4) Cartina Dati Europa. *Finland Political Map.* მოპოვებულია 2023 წლის 11 აპრილს,

https://cartinadatieuropa.it/finlandia/cartina

5) CIA. (2022). *CIA: Countries Finland*. The World Factbook:

https://www.cia.gov/the-world-factbook/about/archives/2022/countries/finland/

6) European Union. *EU member country profile- Finland.*

https://european-union.europa.eu/principles-countries-history/country-profiles/finland_en

7) Eu EIA. (2021) *U.S. Energy Information Administration: Finland.* მოპოვებულია 2023 წლის 12 აპრილს,

https://www.eia.gov/international/overview/country/FIN

8) Eurostat. *Database.*

https://ec.europa.eu/eurostat/data/statistical-themes

9) EMFF. *Fisheries Fund European Maritime and Finland*. მოპოვებულია 2023 წლის 22 მაისს,

https://oceans-and-fisheries.ec.europa.eu/funding/european-maritime-and-fisheries-fund-emff_en?wt-search=yes

10) FINLAND TOOLBOX. (2018). *Finland Fact Book.* მოპოვებულია 2023 წლის 20 მაისს,

https://toolbox.finland.fi/business-innovation/finland-fact-book/

11) FINLAND TOOLBOX. (2021). *Finland in figures.* მოპოვებულია 2023 წლის 20 მაისს,

https://toolbox.finland.fi/life-society/finland-in-figures-2021/

12) FINLAND TOOLBOX. (2023). *Finland: The Happiest Country in the World.* მოპოვებულია 2023 წლის 23 მაისს,

https://toolbox.finland.fi/life-society/finland-the-happiest-country-in-the-world/

13) Food and Agriculture Organization of the Inited Nations. (2019). *FAO Country Profiles: Finland.* მოპოვებულია 2023 წლის 20 მაისს,

https://www.fao.org/countryprofiles/index/en/?iso3=FIN

14) Human Development Reports. (2021). *Human Development Index (HDI).* მოპოვებულია 2023 წლის 27 მაისს,

https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI

15) Human Development Reports. (2021). *Human Development Insights*. მოპოვებულია 2023 წლის 27 მაისს,

https://hdr.undp.org/data-center/country-insights#/ranks

16) Human Development Reports. (2021). *Finland*. მოპოვებულია 2023 წლის 27 მაისს,

https://hdr.undp.org/data-center/specific-country-data#/countries/FIN

17) IMUNA. *Country Profiles: Finland.*
https://www.imuna.org/resources/country-profiles/finland/

18) Medium. (26 აგვისტო, 2020). *The Sami people.* მოპოვებულია 2023 წლის 15 მაისს,

https://medium.com/fridays-for-future-digital/the-sami-people-ed1d4836a626

19) Ministry of Agriculture and Forestry of Finland. (2022). *Use of wood in Finland.* მოპოვებულია 2023 წლის 20 მაისს,

https://mmm.fi/en/forests/use-of-wood

20) Ministry of Agriculture and Forestry of Finland. (2022). *Forestry in Finland.* . მოპოვებულია 2023 წლის 20 მაისს,

https://mmm.fi/en/forests/forestry

21) National Geographic. *Finland.* მოპოვებულია 2023 წლის 12 აპრილს,

https://kids.nationalgeographic.com/geography/countries/article/finland

22) NATO. (4 აპრილი, 2023). *Finland joins NATO as 31st Ally.* მოპოვებულია 2023 წლის 28 მაისს,

https://www.nato.int/cps/en/natohq/news_213448.htm

23) Natural Resources Institute Finland. (2021). *Modernisation of agriculture statistics*. მოპოვებულია 2023 წლის 21 მაისს,

https://jukuri.luke.fi/bitstream/handle/10024/547463/luke-luobio_28_2021.pdf?sequence=1&isAllowed=y

24) OECD. (2016). *Fish landings.* მოპოვებულია 2023 წლის 20 მაისს,

https://data.oecd.org/fish/fish-landings.htm

25) Statistics Finland. (2023). *Statistical data*. მოპოვებულია 2023 წლის 25 მაისს,

https://www.stat.fi/en/statistical-data

26) This is Finland. *Coat of arms.* მოპოვებულია 2023 წლის 11 აპრილს,

https://finland.fi/facts-stats-and-info/coat-of-arms/

27) The World Bank. (2022). *World Bank Open Data*. Finland.

https://data.worldbank.org/country/Finland

28) The World Bank. (2022). *World Development Indicators.* DataBank.

https://databank.worldbank.org/source/world-development-indicators

29) Traficom. Finnish Transport and Communications Agency. Transport. 2023 წლის 24 მაისს,

https://www.traficom.fi/en/transport

30) This is Finland. *Life and Society.*

https://finland.fi/category/life-society/

31) The Economist. (2020). Democracy Index 2020. მოპოვებულია 2023 წლის 28 მაისს,

https://pages.eiu.com/rs/753-RIQ-438/images/democracy-index-2020.pdf

32) United Nations. (2022). *World Population Prospects. United Nations Department of Economic and Social affairs Population Dynamics: https://population.un.org/wpp/*-დან

33) United Nations. (2020). *Department of Economic and Social Affairs, Population Dynamics*. World Urbanization Prospect 2018. მოპოვებული 2023 წლის 13 მაისს,

https://population.un.org/wup/DataQuery/-დან

34) United Nations. (2023). *UN and the Nordic countries*. მოპოვებულია 2023 წლის 27 მაისს,

https://unric.org/en/un-and-the-nordic-countries/

35) Visit Finland. (2023). *The happiest country in the world.*

https://www.visitfinland.com/en/

36) World Economic Forum. (2017). *The Global Risks Report 2017.*

https://www3.weforum.org/docs/GRR17_Report_web.pdf